ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №5
2026 წლის 13 მარტი

დაბა ასპინძა

„ასპინძის მუნიციპალიტეტის სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციის და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 6 სექტემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ასპინძის მუნიციპალიტეტის სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციის და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 6 სექტემბრის №24 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 10/09/2019, ს/კოდი: 010250050.35.140.016400), **კერძოდ:**

დადგენილებით დამტკიცებული „ასპინძის მუნიციპალიტეტის სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციის და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის“ მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ და „ე“ პუნქტები:

„დ) ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;

ე) ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ასპინძის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკი ბერიძე**